ელჩა
ნანასელი
მარიამი
მაკა
სალომე

„ბირჟა“. დგანან გოგოები, მათ შორის ელზა. მანქანიდან გადმოდის ნატალი და უახლოვდება მათ.

სად დაი-
კარგე, ნატალი? რა
შეწუხებული ხარ? კიდევ
კლიენტთან გქონდა
პრობლემები?
არა, გოგო, ეს დღეები
ჩემს კაცთან ერთად ვიყავი.
მაგარი დრო კი ვატარეთ, მაგრამ,
ხომ იცი, რეზინას ვერ იტანს და
მეშინია ფეხმძიმედ არ დავრჩე.

მე რომ „ჩემი კაცისგან“ ერთი-ორ-ჯერ ფეხმძიმედ დავრჩი, გამოვუცხადე: ან რეზინა გამოიყენე ან ყველა აბორტზე 60 ლარი მომეცი–თქო.
მერე?
მერე, იმან „ხარაშოო“ და ისე კაი დაგემართოს. . . ის ეხლა ფულის მიმცემი იყო?...


რა აბორტის ფული, სიგარეტს ვერ ყიდულობს თავისით და მაგას აბორტის ფულს თუ დაუხატავდა. . .
ფულიც რომ მოგცეს, რა. . . აბორტი თუ გარ-თულდა, მტრისას...
აუ, ნუ მაშინებ ეხლა, ელზა. რა უნდა მომივიდეს, მთელი „ბირჟა“ აბორტების კეთებაში ხართ და თქვენ-ნაირი ჯანსაღი ცოტა თუ მე-გულება...

რას ეძახი შენ ჯანსაღს?
კაი რა, ელზა, ნუ მაბნევ. აი შენ, მაგალითად, არ გაგიკეთებია არასოდეს აბორტი?
კი, როგორ არა. უკანასკნელად სამი წლის წინ. იმის მერე არც დამჭირვებია და არც არასოდეს აღარ დამჭირდება


ხო, ელზა ხომ მაგარი გოგო
გვყავს, ყოველთვის და ყველას
ითანხმებს პრეზერვატივზე.
კი, მაგრამ სანამ ასეთი „მაგარი“ გავხდე-
ბოდი, იმდენი ვიჩალიჩე, რომ ახლა ორსულო-
ბისგან დასაცავად არანაირი საშუალება აღარ
მჭირდება.

ვერ გავიგე?
რა ვერ გაიგე. ბოლო აბორტი ისე გამირთულდა, რომ ძლივს გადამარჩინეს. ეს ერთი უბედურება და მეორე ყველაზე საშინელი ის არის, რომ შვილი აღარასდროს მეყოლება.
აუ, რას ამბობ, ელზა?. . . შენს კაცს უთხარი ეს ამბავი?
ვუთხარი.
ახლა იყენებ პრეზერვატივს მასთან?


კი, რა თქმა უნდა.
კი მაგრამ, რატომ? რაში გჭირდება, ფეხმძიმედ ხომ არ დარჩები.
მარტო ფეხმძიმობა ხომ არ არის, მით უმეტეს ჩვენს საქმეში. ჩემს კაცს ავუხსენი, რომ ვმუშაობ, დღეში რამდენ კაცს ვიცვლი, ვინ იცის, ხან პრეზერვატივი მეხევა. . . რომც არ გამეხეს, მაინც რისკია. ისიც ალბათ სხვასთან გავლაზე უარს არ იტყვის, ყოველ შემთხვევაში ასეთებიც ყოფილა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამგვარად ვიზრუნოთ ერთმანეთზე და პრობლემები არ შევიქმნათ.

ესე იგი ეხლა სულ პრეზერვა-
ტივს ხმარობთ. ვა. . . ჩემი კაცი
კი ამბობს, სიამოვნებას ვერ
ვიღებ რეზინითო. რა ვქნა, რა
მოვუხერხო?
ესე იციან მაგათმა. ეგ პროსტა ეზარე-
ბათ და მიზეზად იყენებენ. ჩემი კაციც ასე
ამბობდა, მაგრამ მე ხომ ვატყობ, პრეზერვა-
ტივითაც მაგარი კმაყოფილი მრჩება. მისი
სიამოვნება ჩემზეა დამოკიდებული და არა
პრეზერვატივზე.

სალომე, ეხლა არ მითხრა მეც ვიყენებ ჩემს კაცთან რეზინასო. . .
ხო, რა გაგიკვირდა. როცა იცის, რომ ვმუშაობ, უკვე თვითონ მთხოვს, გამოვიყენოთო. აი ასეთი ჭკვიანი და სუფთა კაცი მყავს.

როცა არ მუშაობ, მაშინაც იყენებ?
როცა ბირჟაზე არ ვდგავარ და არ ვმუშაობ, არ ვიყენებთ.
სალომე, ეგეთი პატიოსანი პერიოდები როდის არის ხოლმე, რაღაც მე არ მახსენდება

ამ ხუმრობაზე გოგოებს გაეცინათ.

ბავშვი რომ გავაჩინე, მაშინ სახლში არ ვიჯექი? შენგან განსხვავებით...
ხო, კაი, კაი აღარ გააგრძელო.
ჩემი კიდევ ამბობს, რეზინა მიღიზიანებს თუ რაღაც ალერგიას მაძლევსო. მეუბნება:

გოგო, რა გადამეკიდე ამ რეზინით, სხვები
რაღაცეებს ხმარობენ: მაზებიო, სპირალიო,
წამლებსაც ყლაპავენ. არც ფეხმძიმედ რჩე-
ბიან და სექსიც აქვთ საკაიფო.

მერე, შენ რა უთხარი?
ხო, ასე ერთმა გოგომ ჩაიდგა ის რაღაც სპირალი, მაგრამ იმ სპირალმა სიფილისისგან ვერ დაიცვა-თქო. თანაც თუ დრო გადააცილე, იწყება ანთებები და ოთუსბირი ჯდება მკურნალობა-თქო.

მერე?
მერე დაიწყო წუწუნი და წკმუტუნი, მაგრამ ვუთხარი, არა-მეთქი და „ვსო“. გინდა — გინდა, არ გინდა და კარგად იყავი-თქო, წადი და ვინც დაგთანხმდება, იმას მიაკითხე-თქო, აიკიდებ შიდსს და უბედურებას და მერე იძახე ალერგიას მაძლევს-თქო.

ეე, ეგრეა, გვანცა, ეგრე. მე თავიდანვე ეგეთი აზრზე მოსული კი არ ვიყავი. ერთი კაცი მყავდა „პასტაიანი“, მეუბნებოდა: „მარტო შენთან დავდივარო“. ურეზინოდ ვცხოვრობდით, მენდობოდა და ვენდობოდი, მაგრამ ერთხელაც კაი „ბუკეტი“ ავიკიდე და ჩემი კაციც „დავასაჩუქრე“. რომ გაიგო, მიმატოვა და რა დღეში აღმოვჩნდი, ხო აზრზე ხარ. მკურნალობაც კაი ძვირი დამიჯდა. ამის მერე ჭკუა ვისწავლე.

ნუ მისცემ ზედმეტ საბაბს. შენ შეგიძლია დაითანხმო იგი
პრეზერვატივზე, მთავარია აუხსნა და დაარწმუნო იმაში,
რომ შენი გადაწყვეტილება არის მტკიცე და იცი, რასაც ითხოვ.
გააგებინე, რომ პრეზერვატივის გამოყენება ერთმანეთზე ზრუნვაა
და არა ერთმანეთის უნდობლობა. და იცი რა?. . თუ იმ კაცს შენი
არ ესმის და შენი ჯანმრთელობაც არ ადარდებს, სჯობს უთხრა:
„დამთავრდა ჩვენი რომანი!“

დასასრული